№2216 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე**

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის აშშ-ს ჯანმრთელობისა და მომსახურების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ გამოყოფილი გრანტის მიღების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტის პროექტი (შემდეგ თემებზე 1. სამხრეთ კავკასიის საველე ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული სწავლების პროგრამა. 2. ნოზოკომიური ინფექციების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის (HAI/AMR) ეპიდზედამხედველობა. 3. მწვავე ფებრილური დაავადებების ეპიდზედამხედველობა. 4.ეროვნული ლაბორატორიული სისტემის სიმძლავრეების გაძლიერება. 5.იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის გაუმჯობესება. 6. ჯილეხის კონტროლის ეროვნული პროგრამის ამუშავება. 7. ცოფის

კონტროლის ეროვნული პროგრამის ამუშავება. 8. ჰეპატიტების ეპიდზედამხედველობის გაძლიერება. 9. გადამტანებით გადაცემადი დაავადებების ეპიდზედამხედველობის დიაგნოსტიკისა და რეაგირების მხარდაჭერა. 10. ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის სიახლეები. 11. მალარიის სერტიფიცირება).

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**